UDC 330.1; 339.15
SCOPUS CODE 1401
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-43-50

ბიზნესის უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული უშიშროების სისტემაში

რამაზ ოთინაშვილი ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: r.otinashvili@gtu.ge

მარიამ კუპრაშვილი ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: mariam_kuprashvili@yahoo.com

რეცენზენტები:

ა. სიჭინავა, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: asichinava@gtu.ge

ლ. გრიგალაშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: l.grigalashvili@gtu.ge

ანოტაცია. სტატია ეხება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიან სისტემაში ბიზნესის უსაფრთხოების დაცვის პრობლემების ანალიზს. იგი მოიაზრება, როგორც ერთგვარად გამოცალკევებული და ამ ერთიანი სისტემის უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი ელემენტი და თანამედროვე ეპოქის განვითარების პროცესის მნიშვნელოვანი ფაქტორი, მიზეზი და მამოძრავებელი ძალა. მზარდი გლობალიზაციის პროცესმა ბიზნესის უსაფრთხოებისათვის ახალი რისკები გააჩინა. მიმდინარე პროცესები მოწმობს, რომ აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ტრანსფორმირებად მსოფლიოში წარმოქმნილ გარემოებებთან დაკავშირებულ ბიზნესის უსაფრთხოების გამოწვევებსა და მუქარებზე. შედეგად გაანალიზებულია გარემოს პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების ფაქტორები, ასევე პოლიტიკური რისკები, რომლებსაც შეუძლიათ არსებითი ზეგავლენა მოახდენონ ბიზნესის მდგრად განვითარებაზე. ჩატარებული კვლევა იძლევა საშუალებას ახლებურად იქნეს დანახული ბიზნესის უსაფრთხოების ადგილი ეროვნული უშიშროების სისტემაში. აღნიშნული თემის საკვლევად ცალკე გამოცალკევება ესადაგება ბიზნესის ადმინისტრირებასა (კოდი: 041) და ეკონომიკურ მეცნიერებაში (კოდი: 0311) არსებული მდგომარეობის საჭიროებებს. აქედან გა-

მომდინარე, შეტანილი იქნება კონკრეტული წვლილი შესაძლებელი ტენდენციების სტრატეგიული შეფასებების კვლევა-ძიებაში.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი; ბიზნესის უსაფრთხოება; ეკონომიკური გამოწვევები; ეროვნული უშიშროება; უსაფრთხოების ტექნოლოგიები.

შესავალი

ქვეყნის პერსპექტივას განაპირობებს ბიზნესი, მისი მდგრადობის შემთხვევაში ხალხი ბედნიერი და თავისუფალია, პირიქით – ღარიბი და სხვას დაქვემდებარებული. ბიზნესი განუწყვეტლივ იცვლება, გარდაიქმნება და ვითარდება. წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია მისი სწორი მართვა. თანამედროვე პირობებში მყარდება მენეჯმენტის ახალი ხანა, რომლის უმთავრესი მომენტია სიახლეებზე უსწრაფესი რეაგირება. ბიზნესის წარმატებულ ფუნქციონირებაზე დამოკიდებულია სახელმწიფოს მდგრადობა. გლობალურმა პროცესებმა შეცვალა ჩვენი ქვეყნის წინაშე წამოჭრილი გამოწვევები. აუცილებელია ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ხარისხი შეესაბამებოდეს მიმდინარე გამოწვევებს.

საბაზრო ეკონომიკის მკაცრი ხასიათიდან გამომდინარე, უსაფრთხოების დაცვა აუცილებელია ყოველგვარი ბიზნესისთვის თანაბრად შინაარსის, მასშტაბისა და საკუთრების ფორმისა. განსხვავება ისაა, თუ რა მეთოდები და ტექნოლოგია არის ამისათვის საჭირო [6].

ძირითადი ნაწილი

ბიზნესის უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პროცესში ერთ-ერთი ცენტრალური ასპექტია. ქვეყანას უნდა ჰქონდეს ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგია, რომელშიც განსაზღვრული იქნება საშიშროების ხასიათი, ბიზნესის მდგომარეობის კრიტერიუმები და პარამეტრები, ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიმართული გაწერილი პოლიტიკის მექანიზმები, ღონისძიებები და ა.შ. ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, პირველ რიგში, კომპლექსურად მოსაზრებული ბიზნესპროცესია, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა გამოწვევა და მზად იყოს დანაკარგებისა და ყველა დარღვევისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარით. იგი სამუშაოს ასრულებს განსაზღვრულ პირობებში, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან სამუშაო გარემოს. მდგრადი გარემოპირობების შექმნა შეიძლება მხოლოდ სისტემურ რეჟიმში სახელისუფლებო ინსტიტუტების მოწესრიგებული საქმიანობით.

მოქმედ ბიზნესში კონკურენციის გამოწვევებს ბევრი ვერ უძლებს და ტოვებს ბაზარს. ბიზნესის წარმოება რთული და მგრძნობიარე პროცესია. მას ესაჭიროება სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული მხარდაჭერა უსაფრთხო საქმიანობისთვის შესაბამისი პირობების შექმნის თვალსაზრისით [7].

დიდი მნიშვნელობა აქვს, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასთან ერთად, ქვეყანაში როგორ არის გადაწყვეტილი ბიზნესის უსაფრთხოების დაცვის პრობლემა. ეროვნული უშიშროების კონცეფციაში ჩაწერილია, რომ „საქართველოს ეკონომი-

კური პოლიტიკა უზრუნველყოფს ბიზნესის საქმიანობაში ხელისუფლების ჩაურევლობას, ეკონომიკური თავისუფლებისა და მისი საკუთრების დაცვას, საგადასახადო სისტემის გაუმჯობესებას და კონსერვატიული სახაზინო პოლიტიკის გატარებას“ [8].



აქ ვერ იქნება გამოყენებული სიტყვა „უშიშროება“, რომელიც იხმარება იმ შემთხვევაში, თუ საფრთხის თავიდან აცილება მოითხოვს სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის წინმსწრებ მმართველობითი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას (პოლიტიკის დასახვა, სტრატეგია, დაგეგმვა, კონცეფცია და სხვ.) ანუ დაკავშირებულია სოციალურ-პოლიტიკურ მმართველობით საქმიანობასთან.[1] ამიტომაა რომ სწორედ წარმოშობის წყაროდან და საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე იხმარება, მაგალითად, ტერმინები: ეროვნული უშიშროება; ეროვნული უშიშროების საბჭო; სახელმწიფო უშიშროება [3]; ეკონომიკური უშიშროება (მაგრამ ეკონომიკური უშიშროებაში შინაარსობრივად სხვადასხვაა: სასურსათო უშიშროება და სასურსათო უსაფრთხოება); ენერგეტიკული უშიშროება (აქ იგულის-

[1] ტერმინი „ეროვნული უშიშროება“ პირველად 1904 წელს გამოიყენა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა წერილში ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი. ამ მიმართვაში იგი პანამის არხის ზონისადმი პრეტენზიას აშშ-ის „ეროვნული უშიშროების“ ინტერესით ასაბუთებდა.

ხმება დარგის განვითარების მართვა, პოლიტიკის შემუშავება... მაგრამ სხვა არის ელექტროტექნიკური უსაფრთხოება, ანუ დენის დარტყმა ფიზიკურად რომ აირიდო) და სხვ.

ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფა უდავოა, რომ არის ქვეყნის განვითარების, მისი წარმატების მიღწევის გარანტია, ქვეყნის დამოუკიდებლობის, საზოგადოების სტაბილური განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობის პირობა. ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფას მეცნიერება მოიაზრებს უმნიშვნელოვანესი ეროვნული პრიორიტეტების ნუსხაში [2].

ბიზნესის უსაფრთხოება არის ნებისმიერი სახის ბიზნესსაქმიანობის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გულისხმობს პერსონალის, ფინანსური და მატერიალური რესურსების, ასევე ინფორმაციული მასივების დაცვის უზრუნველყოფას სხვადასხვა სახის საფრთხისაგან, ეს არის პირობებისა და ფაქტორების, სტაბილურობისა და მდგრადობის ერთობლიობა, მუდმივად განახლებისა და თვითსრულყოფის უნარი. სამართლებრივი, ეკონომიკური და საწრმოო ურთიერთობანი, ინტელექტუალური, მატერიალური და ინფორმაციული რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის სტაბილურ ფუნქციონირებას, შესაბამისად, მაქსიმალური მოგების მიღებას და კოლექტივის სოციალური ინტერესების რეალიზაცია წარმოადგენს უსაფრთხოების დაცვის ძირითად ორიენტირს.

მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ბიზნესის უსაფრთხოებასთან განსაკუთრებულად არის მჭიდრო კავშირში ეკონომიკური უშიშროების სისტემა და მასში შემავალი ქვესისტემები (კომპონენტები): სამრეწველო-ტექნოლოგიური უშიშროება, საფინანსო უშიშროება, საბიუჯეტო უშიშროება, საგარეო-ეკონომიკური უშიშროება და სხვ. მაგალითად, ფინანსური სექტორის უარყოფითი ტენდენციები პირდაპირ აისახება ბიზნესზე (და პირიქით) და გამოიხატება საბრუნავი კაპიტალის დეფიციტით, გადაუხდელობაში, საჭირო პირობებით სესხის მიღების შეუძლებლობაში და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიკური უშიშროების სხვა კომპონენტზეც.

საბაზრო ეკონომიკას ახასიათებს წინააღმდეგობრიობა, გამკლავება უწევს კონკურენციასთან და მრავალ გამოწვევასთან. ბიზნესის უსაფრთხო წარმოებისათვის აუცილებელია მდგრადი იყოს შემდეგი ფაქტორები:

პოლიტიკური: – ქვეყანაში, ასევე რეგიონში არსებული პოლიტიკური გარემო. მთავრობის პოლიტიკით განსაზღვრული საბაზრო-ეკონომიკური რეფორმების კურსი: კომპანიის მიერ წარმოებული ბიზნესის ხელშეწყობა, საკუთრებითი პოლიტიკის დემოკრატიზაცია, ხელისუფლებაში კორუფციისა და ქვეყანაში კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა;

ეკონომიკური: – მდგრად განვითარებას განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემო. რადგან იგი განაპირობებს კომერციული საქმიანობის მართვის წესებსა და პირობებს. მათ შორისაა კონკურენციის ხარისხი და მონოპოლიების არსებობა, აგრეთვე ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა. რამდენია კრედიტზე პროცენტი, ინფლაცია, სატრანსპორტო ნაკადებისა და ენერგომდგენელების ტარიფები და სხვა;

სამართლებრივი: – ბიზნესის საქმიანობა ხორციელდება განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული საგადასახადო და სამეწარმეო კოდექსი, მოქმედი შეღავათები და ფინანსური დახმარებები. ბიზნესის მხარდასაჭერად გატარებული კონკრეტული ღონისძიებები, კერძო საკუთრების დაცვის იურიდიული ასპექტები და სხვა;

თავისდაკვალად ბიზნესკომპანია ყოველთვის უნდა მოქმედებდეს სამართლებრივად გამართული ბიზნესის, მარკეტინგის, ასევე სარეკლამო პოლიტიკის შესაბამისად და ატარებდეს ყველა საჭირო ზომას ბიზნესის უსაფრთხოებისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად. გამორიცხული უნდა იყოს მომხმარებლისთვის პოტენციურად მავნე ან დამაზიანებელი პროდუქციის წარმოება, გავრცელება, გაყიდვა [6].

გარკვეულწილად, ბიზნესის უსაფრთხოება ნიშნავს ეროვნული ეკონომიკის უნარს, უზრუნველყოს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა, ასევე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მდგრადობა როგორც შიგა, ისე საგარეო საფრთხეების პირობებში [1].

ბიზნესის უსაფრთხოებას ხელს უწყობს სამი ელემენტი:

1. იყოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისა და შესრულებისას, რაც ქმნის წარმატების პირობებს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების განხორციელებისათვის;

2. ბიზნესის სტაბილურობა;

3. თვითგანვითარებისა და პროგრესის უნარი.

სტრუქტურული თვალსაზრისით, ბიზნესის უსაფრთხოება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებენ ბიზნესის დამოუკიდებლობას, სტაბილურობასა და მუდმივი განახლების უნარს. ერთი სიტყვით, ესაა საშინაო და საგარეო პირობების ერთობლიობა, რაც ხელს უწყობს ეროვნული ბიზნესის ეფექტურ და დინამიკურ ზრდას, მის უნარს, დააკმაყოფილოს სახელმწიფოს, საზოგადოების, ინდივიდის მოთხოვნილებები, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე, გარანტირებული დაცვა მრავალი სახის მუქარისა და დანაკარგისაგან.

თანამედროვე პირობებში დიდ ყურადღებას მოითხოვს მრავალ სფეროში პოლიტიკური და ეკონომიკური უშიშროების მაჩვენებლები, მათ შორის: ბიზნესის ნორმალურ და ექსტრემალურ პირობებში ფუნქციონირების უნარი, ფინანსური სისტემის მდგრადობა, მოსახლეობის ცხოვრების დონე, საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა და ა.შ.

ეკონომიკური წინსვლისთვის გადამწყვეტია მცირე ბიზნესის განვითარება ქვეყანაში, რადგან იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს, მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) სტრუქტურას, ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლებს და სხვ. გრძლევადიანი და სტაბილური ეკონომიკური წინსვლა უნდა იყოს სახელმწიფოს მთავარი ინტერესი, წარმოებული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გადამწყვეტი მიმართულება. ეკონომიკური წინსვლის პირობა კი არის ბიზნესის უსაფრთხო განვითარება [6].

ბიზნესის უსაფრთხოებამ, როგორც საქართველოს ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანესმა ელემენტმა, ძირითადმა მატერიალურმა ბაზამ, უნდა უზრუნველყოს ქვეყნის დამოუკიდებლობა, დაადგინოს ბიზნესის განვითარების პოლიტიკის გან-

ხორციელების, პროგრესული, მდგრადი სოციალური და ეკონომიკური ფორმირების შესაძლებლობები გეოპოლიტიკური რისკების პირობებში. დღეს, ერთიან მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისას, ბიზნესის უსაფრთხოების საკითხს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია საქართველოს პოლიტიკაში.

ქვეყნის უშიშროების გარკვეული პრობლემების განხილვისას ბიზნესის განვითარების ასპექტების გვერდის ავლა შეუძლებელია [4]. საქართველომ უნდა მიაღწიოს ეროვნული ბიზნესის იმ მდგომარეობას, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ქვეყნის ეტაპობრივი განვითარება, მისი სოციალური, ფინანსური და პოლიტიკური სტაბილურობა, თავდაცვისუნარიანობა უარყოფითი გარე და შიგა ფაქტორების გავლენის ვითარებაში, ეფექტური მართვა-გამგეობა, ეკონომიკური ინტერესების განმტკიცება შიგა და მსოფლიო დონეზე.

ბიზნესის უსაფრთხოების სრულყოფაზე ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება იმისთვის არის საჭირო, რომ ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა ნამდვილად გახდეს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უკრიზისო და სტაბილური განვითარების პირობების შექმნის პროცესი, რომელიც შესაბამისობაში მოვა პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების, ქვეყნის სუვერენიტეტის განვითარებისა და განმტკიცების მიზნებსა და ამოცანებთან, რაც გააუვნებელყოფს და თავიდან აირიდებს საფრთხეებს, რომლებმაც შეიძლება ნეგატიური, მადესტაბილიზებელი ზემოქმედება მოახდინონ ხალხისა და ქვეყნის განვითარებაზე, რომელიც აღმოფხვრის საზოგადოების, ცალკეული სოციალური ჯგუფებისა და ინდივიდის ინტერესებს შორის წინააღმდეგობებს და ა.შ.

უნდა შემუშავდეს ღონისძიებათა სრულყოფილი სისტემა, რათა შეიქმნას ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა პირობების ერთობლიობა, რომელიც ორიენტირებული იქნება ბიზნესის სფეროში ეროვნული ინტერესების დაცვაზე, ზეგავლენას მოახდენს და აქტიურად შეეწინააღმდეგება გარე და შიგა საფრთხეებს; დაიცავს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს მის სარესურსო პოტენციალთან მიმართებით; გააძლიერებს როგორც შინაგან იმუნიტეტს, ისე გარე დაცულობას მადესტაბილიზებელი ზემოქმედებისაგან; შეძლებს სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზრებზე და მიაღწევს ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობას; უზრუნველყოფს ნამდვილად ღირსეული ცხოვრების პირობებსა და პიროვნების მდგრად განვითარებას.

დასკვნა

ბიზნესის უსაფრთხოება ორგანულად არის ჩართული ეროვნული უშიშროების სისტემის ისეთ ჩამონათვალში, როგორებიცაა: სახელმწიფოს საიმედო თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, სოციალური მშვიდობის შენარჩუნება საზოგადოებაში, ეკოლოგიური საფრთხეებისაგან დაცვა. ამ შემთხვევაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია, ერთი მიმართულება ავსებს მეორეს, მაგალითად, ვერ იქნება უზრუნველყოფილი ქვეყანაში სამხედრო უშიშროება სუსტი, არაეფექტიანი, განუვითარებელი ბიზნესის პირობებში ისევე, როგორც ვერ იქნება ვერც სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფა, ვერც ეფექტიანი ეკონომიკა სო-

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

ციალური კონფლიქტებით გაჯერებულ საზოგადოებაში. ამ ურთიერთკავშირში გასათვალისწინებელია, რომ მასში მნიშვნელოვანი როლი ბიზნესის უსაფრთხოებას ენიჭება. ერთი სიტყვით, ეროვნული უშიშროების ყველა ქვესისტემის გამართული უზრუნველყოფა გარკვეულწილად დამოკიდებულია ბიზნესის განვითარებასა და მისი უსაფრთხოების ხარისხზე.

ბიზნესის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიან სისტემაში (სახელმწიფო უშიშროება, ეკონომიკური უშიშროება, საინფორმაციო უშიშროება, სამხედრო უშიშროება, ეკოლოგიური უშიშროება, ენერგეტიკული უშიშროება, სამართლებრივი უშიშროება და ა.შ.) მოიაზრება, როგორც ერთგვარად გამოცალკევებული და ამ ერთიანი სისტემის უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი ელემენტი, თანამედროვე ეპოქის განვითარების პროცესის მნიშვნელოვანი ფაქტორი, მიზეზი და მამოძრავებელი ძალა.

ბიზნესის უსაფრთხოება არის საქართველოს ეროვნული უშიშროების ერთ-ერთი საყრდენი ელემენტი და ასრულებს მნიშვნელოვან როლს, რადგან ეროვნული უშიშროება ვერ იქნება უზრუნველყოფილი ბიზნესის მხარდაჭერის გარეშე. ამიტომაა აუცილებელი ბიზნესისა და სახელისუფლებო ინსტიტუტების ურთიერთობაში ისეთი მდგომარეობის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ინტერესების უპირობო გარანტირებულ დაცვას.

ლიტერატურა

1. Daniels von, L. (2024). *Economy and national security: US foreign economic policy under Trump and Biden*. SWP Research Paper 2024/RP 11, 28.06.2024, 40 pages. https://doi.org/10.18449/2024RP11
2. Business Council of Canada. (2023). *Economic security is national security: The case for an integrated Canadian strategy*. https://thebusinesscouncil.ca/report/economic-security-is-national-security/
3. Chikobava, A. (Ed.), Abashidze, I., Metreveli, R., Dzidziguri, S., & Chabashvili, M. (Eds.). (1986). *Explanatory dictionary of the Georgian language* (in one volume). Georgian Academy of Sciences, Institute of Linguistics. Tbilisi: Georgian Soviet Encyclopedia. (In Georgian)
4. Mitha, F. (2021). *Why small businesses are essential to U.S. national security*. U.S. Department of Defense. https://www.defense.gov/News/News-Stories/Article/Article/2906490/why-small-businesses-are-essential-to-us-national-security/
5. Otinashvili, R. (2021). *Security in company management*. *Works of GTU*, (2)520, 67–75. https://www.shromebi.gtu.ge (In Georgian)
6. Otinashvili, R. (2025). *Business security* (Learning book). Tbilisi: Technical University Publishing House. https://drive.google.com/file/d/1bZ7qL1ThL5FWho-pco4N5UK1pin0ANQv/view (In Georgian)
7. Otinashvili, R., & Vanishvili, M. (2020). *Competitive strategy in business* (pp. 127–134). Cognum Publishing House. https://sci-conf.com.ua/wp-content/uploads/2020/11/THE-WORLD-OF-SCIENCE-AND-INNOVATION-11-13.11.2020.pdf
8. Parliament of Georgia. (2011). *National security concept of Georgia* (Resolution No. 5589-rs, 23.12.2011). https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1555410?publication=0 (In Georgian)

UDC 330.1; 339.15
SCOPUS CODE 1401
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-43-50

Business Security in the National Security System of the Country

Ramaz Otinashvili Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: r.otinashvili@gtu.ge

Mariam Kuprashvili Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: mariam_kuprashvili@yahoo.com

Reviewers:

A. Sichinava, Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, GTU
E-mail: asichinava@gtu.ge

L. Grigalashvili, Professor, Faculty of Business Technologies, Acting Head of the Department of Business Administration, GTU
E-mail: l.grigalashvili@gtu.ge

Abstract. The issue concerns the description of the problems of business security protection in the unified system of ensuring national security. It is considered as a separate and most important supporting element of this unified system, an important factor, cause and driving force of the development process of the modern era. It is also worth considering the fact that the process of increasing globalization has created new risks for business security. Current processes indicate that it is important to find out new challenges, analyse the dangers, risks and threats to business security associated with new circumstances arising in a transforming world. The article analyzes the factors of indirect and indirect environmental impact, as well as political risks, which can significantly affect the safe development of business. The presented research allows us to see the place of business security in the national security system in a new way. The separate allocation of this problem for research is in line with the situation in economic sciences. A specific contribution will be made to define the strategic assessments of all the possible trends in the field.

Keywords: Business security; Business; Economic challenges; National security; Security technologies.

განხილვის თარიღი 25.03.2025
შემოსვლის თარიღი 04.04.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025